ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 18 1865 წ. სეკტემბრის 15 № 18

დაბარება შეიძლება ტფილისითგან: ი. კერესელიძის სტამბაში. გუგიას, სავაჭროს სახლში.

გამოიცემა ორ კვირაში ერთხელ. ფასი ცისკარზედ ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი, ხოლო სხვათათვის ორი მანეთი.

# გუთნის-დედა

მამულის მართველობის და ვაჭრობის გაზეთი.

წელიწადი მეორე.

## ვენახის გასხვლა.

(სტატია უ. გიოსი).

უმეტესი ნაწილი ფრანციის ვენახებისა ისხვლის ფებერვალში, მარტში და აპრილში. ვინც გასხლავს ამაზედ ადრე ანუ გვიან ის დაარღვევს ჩვეულებას შემოღებულსა ძველადგანვე და მიღებულსა საზოგადოდ ყველა ვენახის მკეთებლებისაგან. მამასადამე ჩვენ შეგვიძლიან დავარქვათ გასხვლა ადრეული, გასხვლასა დაწყებულსა თებერვლის დამდეგამდე, ზომიერი. გასხვლასა ზემოხსენებულ დროში და დაგვიანებულს (ნელა) იმას, რომელსაც შესდგომი- ან მარტის შემდეგ. მაგრამ სხვა და სხვა ჰავა და ხშირად სხვა და სხვა ჯიშში ვაზისა შეცვლის თანხმობასა, რომელიც უნდა იყოს ვენახის გასხვლის და ხის გაღვიძების (წულის ჩადგმის) შუა. ბევრია ისეთი ვენახები და ჯიშში ვაზისა სამხრეთისაკენ, რომლებისთვის მარტში გასხვლა მალიან დაგვიანებული იქმნება და ჩრდილოეთში, სადაცა, თებერვალში გასხვლა ისევე იმოქმედებდა, როგორც ადრეული და წაახდენდა ვაზსა. მამასადამე თავის დროს ვაზის გასხვლა თვებზედ არ არი დამოკიდებული, როდესაც ამ საქმეს ვშინჯავთ საზოგადოდ და არა ერთ რომლისამე მხარის შესახებ. ის ემჯობინება რომ ზომიერი სხვლა უწოდოთ იმასა, რომელსაც ხელს მიჰყოფენ ორი კვირით ადრე-თუ შემდეგ ხის გაღვიძებისა (ხეში წულის ჩადგმისა) გაზაფხულზედ; დაგვიანებული ჩვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნის ჭაზრით ის იქნება, რომელსაცა დაიწყობენ კვირტის მოზარდობაში მოსვლის შემდეგ, და ადრეულა, როცა სხვლას შეუდგებიან ერთი, ორი, თუ სამი თვით ადრე, მინამ ხეში წყალი ჩადგებოდეს.

მინამ გამოვიძიებდეთ თუ რა მოქმედება აქვს ამ სამ გვარ სხვლასა ხის გაზდაზედ და ნაყოფის გამოღებაზედ, შევიტყოთ რაში მდგომარეებს გაღვიძება მცენარისა ანუ, როგორც იტყვიან, ხეში წყლის ჩადგმა.

რაკი გაზაფხულში დადგება სითბოები ათ ანუ თორმეტ გრადუსამდე და სამი დღე და ღამე სულ ერთი თბილი იქმნება, მაშინ მცენარის მირკვები მიიზიდავენ და დაუწყებენ წოვნას მიწაში ნამყოფ წყალსა, რომელიც ადის მაღლა ხეში და ამ ასვლაში იწყებს რომელსამე მალას. ამ დროს მტო რომ გადუჭრათ ხესა, წყალი დაიწყებს ბლომად დენასა და თუ მტოს მოვაცლით ქერქსა და რითმე გადავგლესავთ შუაგულსა, წყლის დენა მაინც არ მოსწყდება. აქედამა სჩანს, რომ წყალი ხეში ამოდის ქვეიდამ ზევით არც ქერქით, არც ქერქსა და ხეს შუა, არც გულით, არამედ გაივლის თვით ხეში, ამაში მნელია ეჭვის შემოტანა. ეს წყალი, რომელსაც უწოდებენ ამსვლელ წვენსა, მაშინ იწყობს მოძრაობას, როგორც მცენარეს ჯერ არ გამოუჩენია არა რომელიმე ნიშანი გაღვიძებისა, არც ამწვანებულა და არც აყვავებულა. მაშასადამე ხეში წყლის ჩადგმა არის პირველი ნიშანი მცენარის გაღვიძებისა.

ძენობა, რომელიც მოიყვანს მოძრაობაში ამ წყალსა და ძალას აძლევს უთუოდ უნდა იყოს მირკვებში და თვით ხეში. სითბო პირველად აცოცხლებს ამ მუშაობასა, შემდეგ მოქმედობს სინათლე (მზისა) რომელიცა ამრავლებს წყალსა და უცვლის თვისებასა იმ სახით, როგორც საჭიროა ფოთლის და ნაყოფის შეზავებისათვის.

რა თვისებისაა ეს წყალი? ხიმიური გამოძიება გვიჩვენებს, რომ ამ წყალში გახსნილია მცირე წილი მიწის მარილი, ხან და ხან ჭაერი, ესე იგი ისივე ნივთები, რომელიც იპოება მიწაში, საიდამაც უწოვნიათ წყალი მირკვებსა. იქნება რომ ეს წყალი, მარილიანი და მჟავე, ხსნიდეს თავის გზაზედ მცენარის საზრდოსა, რომელიც თადარიკისათვის ყოფილა დაგროებული ხეში და კვირტების ახლო, და მიჰქონდეს ეს საზრდო თვით კვირტებთანა; მე მგონია ასე უნდა იყოს და ყველა დაეთანხმავდება ვინც იცის გასაოცარი მზრუნველობა ბუნებისა, რომელიც უთუოდ გაუმზადებდა საზრდოს ახალ კოკრებსა, მინამ ესენი გაიმლებოდნენ და შეიძლებდნენ თავიანთავათ საზრდოს შოვნასა. წყალი, რომელზედაც ვლაპარაკობ, არის მხოლოდ ღონისძიება გამხსნელი და [illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ტანი მომზადებულის სარჩოსი, და თვითონ არა აქვს არავითარიმე თვისება მცენარისა, როგორც წყალსა, რომელშიაც ალბობენ დასათესათ მომზადებულს ლობიოსა, მუხუდოსა და სხვა თესლსა. მე წინაწინ მეგონა, რომ რამდენიც უნდა ედინოს ესე წყალი ცრემლივით, არაფერი ვნება არ შეუძლიან; მაგრამ შემდგომ ერთი გამოცდილი ვენახის-მკეთებელის დათვალიერებულმა შემეცნებამ დამარწმუნა,--წყალი რომ ჰსდის ვაზსა, თან გააქვს ნაწილი იმ საზრდოსი, რომელიც ყოფილა მომზადებული ახალი კვირტის გასამლელად. იქმნება ეს ნაწილი მალიან მცირე იყოს, მაგრამ ცხადია, რომ მაინც იმისმა მოკლებამ უნდა დაასუსტოს კვირტი.

დიდს კმაყოფილებასა ვგრძნობ, რომ ვაცხადებ ამ ჰაზრსა, რომელსაც ვარღვევდი რამდენიმე წლის წინათ. კაცი, რომელსაც უნდა სწავლა და გამოძიება ჭეშმარიტებისა, დაუდგრომელ ცვლილებაშია ჰაზრის მხრივ, თუ ყველა ნივთში ბერი კაცმა დაიცვა ის ჰაზრი, რომელიც ჰქონია ყმაწვილობის ანუ ვაჟკაცობის დროს, თავის სიცოცხლეში დარჩებოდა უსუსურად, და არაფერი გამოცდილება, ჰსწავლა და დათვალიერება იმას არ მიუდგებოდა; უზომო თავის მოწონებით, ამპარტავნებით და ყოველი ცუდი გულის გრძნობით უნდა იყოს კაცი, რომ ზედ, რომლის უსაფუძვლობა თითონვე ცხადად შეუტყვია.

ორგვარია მოქმედება ამსვლელის წვნისა, რომელიცა ზრდის კვირტსა მანამდინ, როცა თვით კვირტი გაიშლება და შეიძლებს თავის თავად საზრდოს შოვნასა. პირველი რომ ეს წყალი სიჩქარით ადის მაღლა, აწვება კვირტსა და გაშლის თავის ძალით; მეორე, რომ მიუტანს სარჩოს და გამოზრდის კვირტსა. მინამ კვირტი იზრდება მინავანის ძალითა და ხმარობს ნათადარიქევსა სარჩოსა, მოჭრა რქისა უნდა იყოს ორ გვარად სავნებელი: 1) რადგანაც მოჭრით სუსტდება ის ძალი და სიჩქარე, რომელიცა აქვს ამსვლელს წვენსა, 2) რადგანაც მოესპობა ცრემლის დენითა, რომელიმე ნაწილი შემზადებული სარჩოსი.

მაგრა რაკი კვირტის ფოთლები მოვლენ სისრულეში და შეუძლიან წოვნა ჰაერისა; რაკი ეს ფოთლები მოვლენ სრულ ჰასაკში, მაშინ მოქმედება იმათი საკმაოა, რომ თითონაც გაიზარდონ, დედა მცენარეც გაზარდონ და გაალონიერონ, და ნაყოფიც გამოიღონ გასამრავლებლათ ჯინმისა. თუ რომ ჰსხვლიან დედა ვაზსა იმ დროს, როდესაც თვითონ მარტო ზრდის კვირტებსა, მაშინ დედა ვაზი ტირის ცრემლებითა; აღარა ტირის გასხვლისაგან მაშინ, როცა კვირტები მოუყვანია ჯერო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მსწრაფლის ცვლილებისა? ავხსნი, როგორც შემიძლიან:

უთვალავი გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ წყალს სე სწოვს მირკვებითა, ღეროთი და მტოებითა და იმისთანა მალითა ჰსწოვს, რომ ზოგიერთ ხეს სამოც საჟენამდინ აჭუავს; ამასთანავე დამტკიცებულია, რომ ფოთლები და დოყები უმატებენ ამ წყლის წოვნის მალასა. ცრემლი უფოთლო ვაზისა დიდი რამ არ არის რა, თუ შევაფარდებთ იმ წყალთან, რომელსაც ფოთლები აშრობს, თუგინდ ის წყალი არ ჩავაგდოთ რაც უნდება თვით ხის ნაყოფის გაზდასა.

ეს არი მიზეზი, რომ ოთხ რქად გასხვლილს ვაზსა სულ ათი მისხალი ცრემლი ძლივ დაედინება დღეში; მაგრა ესევე ვაზი ზაფხულში, როცა ფოთლები გაშლილი აქვს, მოსწოვს და გააშრობს დღეში სამ გირვანქა წყალსა. მზის ნათელს დიდი მოქმედება აქვს ხისგან წყლის წოვნაზედ და გაშრობაზედ, ასე რომ მზიან დღეში მცენარემ რომ მოსწოვოს ათი გირვანქა წყალი, ღრუბლიან დღეში ექვსი გირვანქის მეტს ვერ მოსწოვს და ღამეში ორი გირვანქისა.

რამთენიც ფოთოლი მაღლაა ხეზედ, იმთენი უფრო ძლიერად იწოვს წყალსა,ეს არის მიზეზი რომ თუ ხეს წყალი მოაკლდა, ჯერ ძირის ფოთლები ხმება და მერე წვერისა. მარტო სიმაღლეზედაც არ არის დამოკიდებული ძალი წყლის წოვნისა: ყველა ვენახის მკეთებლებმა იცის, რომ ხან და ხან ვაზს ფოთლები გაუხმება ღეროს ახლო, რქის კვერზედკი ფოთლები დარჩებიან მწვანედ და ნაყოფიც კარგათ იქმნება შენახული, თუნდა რქა ზეზე არ იდგეს და მიწაზედ ეთრეოდეს. მაშასადამე წყალი მიიზიდება მცენარის წვერისაკენ, რა მდგომარეობაშიაც გინდა იყოს ეს წვერი.

ზემოთ მოვიხსენეთ, რომ ამსვლელი წვენი არის საზრდო მანამდინ კვირტები გაიშლიან ფოთლებსა და თვითონ შაიძლებენ სარჩოს მოწოვნასა; რაკი საზრდო გამოელევა მცენარესა, ანუ რაკი ფოთლები და ნაყოფი მოვლენ სრულს ჰასაკში, მაშინ ამსვლელს წვენსა აქვს მხოლოდ მნიშვნელობა წყლისა, რომელსაც სწოვენ ფოთლები და ნაყოფი თავიანთი საჭიროების მიხედვით. უეჭველად გარჩევა არის ფოთლების და ნაყოფის მოქმედებაში: ფოთლებსა აქვს საგნად გამაგრება და გაზრდა დედა მცენარისა: ისინი შეაზავებენ ვაზის ხესა; კოკორი, ყვავილი და მტევანი არის დანიშნული თესლის შესაზაკებლად, კურკებისა, რომლისათვის უურმნის წვენს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც კვერცხის გულს წიწილისათვის.

ამ ორს უმთავრესს და უსაჭიროეს ქარხანას აქვთ წყალი დედა ვაზიდგან

რომელიც ამ შემთხვევაში ემსგავსება საზოგადო ჭასა. წყალი ჯერ იმითი არის საჭირო, რომ წიაღუდგება იმათ გახმობასა მზის მოქმედებით, მერე იმით, რომ ესმარება მცირე ნაწილით იმათი საზრდოს შემზადებასა; რასაც ფოთოლი იმზადებს საზრდოთ იქიდამ არა ეძლევარა ნაყოფსა, და არც ნაყოფი აძლევს რასმე ფოთოლსა.

ეს ორი ქარხანა, გარჩეული ერთმანეთისაგან თავიანთ აგებულებითა და მოქმედებითა, არიან ერთმანერთის მოცილეები და მტრები: როცა ფოთლები თავიანთის მოქმედებითა მეტის მეტად ზრდიან ხესა, მაშინ ნაყოფი მცირდება და ფუჭდება; თოცალა, რომლისამე ბუნებითის გარემოების გამო ანუ ხელოვნებით ყოველივე ხეში ნამცოფი წყალი მიქცეულია ნაყოფისაკენ, მაშინ ხე ვეღარ კეთდება, და დედავაზი იკლებს ტანსა და აღმოცენის ძალასა.

როგორ აკეთებენ ანუ ზდიან ფოთლები ხესა? თუ მეცნიერებს ჯერ არ გამოუკვლევიათ დაწვრილებით ეს მოქმედება, ის მაინც დამტკიცებულია, რომ ხე კეთდება სწორეთ ფოთლებში: ფოთლები მზის სინათლის მოქმედებით სწოვენ ჰაერითგან ერთს გვარს ჰაერის მსგავს ნივთიერებასა (გასსა), რომელსაც ხიმიკოსები ნახშირის მჟავეს უწოდებენ, რადგანაც შედგენილია ნახშირისაგან და მჟავე გაზისაგან, ამ მჟავე გასს ისევ გამოუშვებს გარეთ და ინახავს ნახშირსა, რომელიც არის პირველი სამირკველი ხისა. ეს ნახშირი პირველში მაგარი ვერ იქნება და უნდა იყო, თხელი წყალივით. იქნება ეს ისივე ნივთიერება იყოს, რომლის დანახვა ადვილია გაზაფხულზე და, რომელიც არის ხის ქერქს ქვეშ. ამისი არავინ იცის რა სწორე. ისკი უეჭველია რომ ეს თხელი ნივთიერება არის უმთავრესი მასალა ხისა და რომ ეს მასალა, შეზავებული ფოთლების მოქმედებითა ჩამოდის ზევიდამ ქვეით და ზრდის დედა ხესა. ამსვლელი წვენის მყოფობა იმით მტკიცდება, თომ წვერ მოჭრილ ხეს დასდის წყალი ცრემლოვანთა. ვინაც უნდა დაერწმუნოს, რომ არის ჩამომსვლელი წვენიცა, უნდა მტოს შემააკრას სალტა, მაშინ დაინახავს რომ სალტის ზემოთ ხე გაიბერება და დასივდება ჩამომსვლელი წვენის დაგროების მიზეზით. ეს ჩამომსვლელი წვენი, რომელიც არის მასალა ხის შესაზავებელი და ნაყოფში და თვით ნაყოფზედ არაფერი მოქმედება არა აქვსრა. მიკროსკოპით გამოძიება გვიმტკიცებს, რომ არ არის ხესა და ნაყოფს შუა ისეთი გზა (მილები), რომლითაც შესაძლებელი ყოფილიყო შასვლა ჩამომსვლელის წვენისა ნაყოფში. ამას გარდა სალტა რომ მოუჭიროთ ანუ მაფი მაგრათ მოუჭიროთ მტევნის კურწსა, მაშინ როდესაც ინასკვება მა-

რცვალი, ამით არა დაეშლება რა ხილის გასდასა და კუნწი არ დასივდება ხის მხრივ, როგორც ვნახეთ ზემო მაგალითში. მაფი დაავდებს პატარა ღარსა, რომელსა ორსავე მხრივ ერთ გვარად ექმნება აწეული ნაპირები. მაშასადამე ჩამომსვლელი წვენი არ შედის ნაყოფში და არ აძლევს საზრდოსა. ნაყოფი თითონ სწოვს თავის საზრდოს ჰაერიდგან, როგორც ჰსწოვენ ფოთლები. ამიტომაც როცა ხილსა სწმენდენ ხეზედ, აცლიან მტვერსა, ანუ აყრიან გოგირდსა, მაშინ ხილი დიდიც იზრდება და სნეულებიდამაც იკრუნჩხება.

როცა ხე, თუ ვაზი იზრდება ბუნებით და თავისუფლად, მაშინ ჯერ ფოთლების მოქმედება ჰსძლევს ნაყოფის მოქმედებასა, ესე იგი ჯერ ხე თითონ უფრო ჩქარა იზდება, მინამ ნაყოფი; მერე რაკი ხე მიაწევს სრულს ჰასაკსა და მიიღებს ჯეროვანს სიმაგრესა, მაშინ ნაყოფის მოქმედებასაც ეძლევა ზომიერი ძალი: ამ გვარათ ერთ ზომობით მოქმედებენ ნაყოფის და ხის გამზდელი ორღანოები რამდენსამე წელიწადსა. იშვიათი არ არის, რომ ნაყოფის მოქმედებას დაემლიოს, ესე იგი ხე ანუ ვაზი მოსულიყოს იმისთანა მდგომარეობაში, რომ ხილს ანუ ნაყოფს უფრო ზრდიდეს ვიდრე თითონ იზრდებოდეს: როგორც მაგალითად შემვებელი ვაზი. ხე ამისთანა მდგომარეობაში იჩაგრება და ახლოვდება სიკვდილსა.

უზომობა ხისა და ნაყოფის შეხავებაში ჩქმის ჰაზრით წარმოსდგება წლის უზომოდ გაყოფისაგან, როცა ან ფოთოლი თავისკენ გაიწევს მომატებულ წვენსა, ანუ ნაყოფი.

როცა ხელოვნება კაცისა დააყენებს ვაზის მცენარეობის ძალსა და არ გაუშვებს, რომ ვაზმა ბუნებითი სიგრძე მისცეს თავის რქებსა, მაშინ პირველ წელიწადებში ვაზი იმაგრებს და იზრდის მხოლოდ ხესა: მაგრამ ცოტახნის შემდეგ ხის შემზავებელი ძალი სუსტდება იმ მიზეზითა, რომ მაღლამდე გასვლა უჭირს იმ გზებსა, რომლითაც ეძლეოდა საზრდო ხესა, და ვაზი, თუნდ ნაყოფსაც მაგდენს არ აბამდეს სუსტდება, მეტადრე თუ სარზედ არ არის მიბჯენილი· ესეც უთუოდ შესანიშნავია ვაზის ბუნებაში, რომ თუ სარი არ უდგა და ვერ შეუძლიან მაღლა ასვლა, გაიკეთებს დიდრონს რქებსა თუნდა სულაც არ გაისხლას.

ამ წინადადების განმარტების შემდეგ შემიძლიან დავიწყო გაშინჯვა, თუ სიკეთე ანუ ვნება ჰსჭრის ადრეულა, ზომიერს და დაგვიანებულს გასხვლასა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

Дозволено цензурою 1863. г. Сентября 15.г. Тифлисъ. Цензоръ Кантмазовъ.